ახალგორი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ: ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმის ისტორიულ წარმოსახვასა და ყოველდღიურ პრობლემებს შორის

თათია მელთაური

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ თორია, ასოცირებული - პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თათია მელთაური 21.01.2020

აბსტრაქტი

საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენები აღქმულია, როგორც ოკუპაცია და საფრთხე, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას კიდევ უფრო დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. კონფლიქტში მონაწილე ქართულ და ოსურ მხარეებს მთელი რიგი არგუმენტები და ისტორიულ-კონსტრუქციული მიდგომები აქვთ ერთმანეთის მიმართ, რომელიც ამ ორი ერის ისტორიული თანაცხოვრების მანძილზე დაგროვდა და დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება. წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში ქართულ-ოსური დებატების პარალელურად განხილულია ახალგორის რაიონის ე.წ. სამხრეთ ოსეთში მოქცევის საკითხი და დღეს არსებული ვითარების ანალიზი. წარმოდგენილი თვისობრივი მონაცემები აჩვენებენ ახალგორელი ოსების პრეფერენციებს და მათ დამოკიდებულებას დე ფაქტო რეჟიმის მიმართ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ახალგორი, დე ფაქტო რეჟიმი, ისტორიული დებატები, ეთნიკური ოსები, დევნილები, კონფლიქტი.

Abstract

In Georgia the event of the war of August 2008 and the resulting occupation are regarded as threat which questions the Georgian territorial integrity even more than before. Both parties – Georgians and Ossetians – have their own historically constructed arguments against each other that accumulated through the decade. In this paper I focus on the Akhalgori issue by considering both Ossetian and Georgian historical perceptions. By presenting the qualitive research results of the Ossetian people from Akhalgori we could better understand their respective attitude towards the de facto regime.

The main search terms: Akhalgori, de facto regime, historical debates, ethnic ossetians, internaly displaced people, conflict.